სტუ-ს სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამოყენებითი გეოლოგიის სექცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის განრიგის შესაბამისად, **გამოყენებითი გეოლოგიის სექციამ 20 ივნისს იმუშავა.** მომხსენებელთა გარდა, სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები.

სექციაზე მუშაობდა კონფერენციის კონკურსის შედეგების შემაჯამებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე - ნოდარ ფოფორაძე

თავმჯდომარის მოადგილე - მანანა ჯაფარიძე

კომისიის მდივანი - ნანა ქიტიაშვილი

კომისიის წევრი - ია ახვლედიანი

კომისიის წევრი - მარინე მარდაშოვა

კომისიის წევრი - შალვა კელეპტრიშვილი

კომისიის წევრი - გიორგი გაფრინდაშვილი

კომისიის წევრი - გელა ლობჟანიძე

კომისიის წევრი (სტუდენტი) - მარიამ გამეზარდაშვილი

კონფერენციაზე 8 მოხსენება იყო წარმოდგენილი, მათგან 2 ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტის, 5 - მაგისტრანტის და 1 - დოქტორანტის. სტუდენტების მიერ მომზადებული საკონფერენციო თემები შეეხებოდა მინერალოგიის, სასარგებლო წიაღისეული საბადოების, გეოეკოლოგიის, საინჟინრო-გეოლოგიის და ჰიდროგეოლოგიის საკითხებს. მონაწილეებმა მოხსენებები საპრეზენტაციო მასალების თანხლებით წარმოადგინეს, შემდეგ კი კომისიის წევრების და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს უპასუხეს.

ბაკალავრიატი

1. მომხსენებლები: ბადრი გოგია, იოსებ ჩიტაური - IV კურსი
   მოხსენების დასახელება: "გეოეკოლოგიური პრობლემების ქრონოლოგია და თანამედროვე გარემოსდაცვითი ღონისძიებები"
2. მომხსენებელი: მარიამი ჩხვიმიანი - IV კურსი
   მოხსენების დასახელება: "მენჯის მინერალური წყლის საბადოს ჰიდროგეოლოგიური დახასიათება"

მაგისტრატურა

1. მომხსენებელი: გიორგი ასლანიშვილი - I კურსი
   მოხსენების დასახელება : „საყდრისი IV (დას.ფოსტის ქედის) გეოლოგია და გამადნების თავისებურებანი"
2. მომხსენებელი: ნიკა მომცელიძე - I კურსი
   მოხსენების დასახელება: „ფერდობის მდგრადობის შეფასების ახალი საკლასიფიკაციო სისტემა"
3. მომხსენებელი: რუსუდან მეტრეველი - I კურსი
   მოხსენების დასახელება: „ქვევრების წარმოება საქართველოში და მათი მინერალური შედგენილობა"
4. მომხსენებელი: გიორგი მინდიაშვილი - I კურსი
   მოხსენების დასახელება: „ხაჩკოვის მადანგამოვლინების სტრუქტურული თავისებურებები"
5. მომხსენებელი: ნინო ნოზაძე - I კურსი
   მოხსენების დასახელება: „აქატ-ქალცედონის ჯგუფის მინერალების საბადოები"

დოქტორანტურა

1. მომხსენებელი: ზურაბ ჭყონია - I კურსი
   მოხსენების დასახელება: „სტიქიური გეოლოგიური პროცესები კურორტ გომის მთაზე "

მოხსენებები ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა:

- ნაშრომის აქტუალურობა;
- ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
- დისკუსია ჟიურის წევრებთან;
- მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

კომისიამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სწავლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით გამოავლინა **<u>გამოყენებითი გეოლოგიის სექციის გამარჯვებული სტუდენტები:</u>**

<u>ბაკალავრიატი</u>

I ადგილი - ბადრი გოგია, იოსებ ჩიტაური

II ადგილი - მარიამი ჩხვიმიანი

<u>მაგისტრატურა</u>

I ადგილი - გიორგი მინდიაშვილი

II ადგილი - რუსუდან მეტრეველი

III ადგილი - ნიკა მომცელიძე

<u>დოქტორანტურა</u>

I ადგილი - ზურაბ ჭყონია

კონფერენციის მონაწილე სტუდენტები



IV კურსის სტუდენტები -
ბადრი გოგია, იოსებ ჩიტაური

IV კურსის სტუდენტი - მარიამი ჩხვიმიანი

I კურსის დოქტორანტი - ზურაბ ჭყონია

I კურსის მაგისტრანტი - გიორგი ასლანიშვილი

I კურსის მაგისტრანტი - ნიკა მომცელიძე

I კურსის მაგისტრანტი - რუსუდან მეტრეველი

I კურსის მაგისტრანტი - გიორგი მინდიაშვილი



I კურსის მაგისტრანტი - ნინო ნოზაძე

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი ულოცავს სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობას, გამარჯვებას და უსურვებს მათ პროფესიულ წინსვლას და შემდგომ წარმატებებს.